გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულბერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



თავადი გიორგი სვიმონის ძე წულუკიძე, პეტრე გიორგის ძე წულუკიძე და კნეინა ელისაბედ გიორგის ასული წერეთლისა ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ამა ნოემბრის 23 დღესა, შაბათს, დანიშნულია ქალაქს ოზურგეთს, ოზურგეთის ტაძარში, მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად გარდაცვალებულის მარიამ გიორგის ასულის წულუკიძისა, პირველის მეუღლისა და დანარჩენთა დედისა. (3—3)



## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 14, ნაშუადღევის სამს საათზე, ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე ტფილისიდგან ახალციხის მაზრაში გაემგზავრა.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ალექსანდრე ფრიდე პეტერბურგიდგან ამ თთვის 14 დაბრუნდა ტფილისში. ბ-ნი ფრიდე პეტერბურგში ამიერ-კავკასიაში ახალ რკინის გზების გაყვანის საქმეზედ იყო.

*** მისი უმაღლესობა პრინცი ლუი ნაპოლეონი ზუგდიდიდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** სახელმწიფო ბანკის დირექტორმა ა. ა—ძემ სუზანტმა უკვე გაათავა რევიზია სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებისა, სადაც ფული სრულად აღმოჩნდა, და ამ თთვის 14 პეტერბურგში გაემგზავრა.

*** ერევნის მოედნის საქალაქო პატარა ბაღში შადრევანთან ამ დღეებში უკვე დაიწყეს პოეტის ა. ს—ძის პუშკინის ძეგლის აგება.

*** „ინფლუენციამ“ მთელი ქვეყანა შემოიარა და, როგორც მკითხველებმაც უწყიან, ამ შემოდგომაზე კვლავ დაუბრუნდა ტფილისს. ეს სენი ამ ჟამად ხარფუხში ძალიან მძინვარებს და ერთი კაცი გარდაცვლილა კიდეც ამ სენით.

*** უკვე დაუმტკიცებია ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს ქალაქის საბჭოს მიერ ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეული თ. ი. გ. მაჩაბელი, რომელიც ამ დღეებში ჩაიბარებს კიდეც ხსენებულ დაწესებულები საქმეებს.

*** როგორც მკითხველებმაც უწყიან, ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთათვის დაარსებულს დაწესებულებაში შეტანილი იყო საჩივარი ზოგიერთ ხმოსნისა პ. ა. იზმაილოვის ქალაქის მოურავის ნაცვლის თანამდებობაზედ უკანონო არჩევანის შესახებ და აგრეთვე საჩივარი ბ-ნის ზავრიევისა საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზედ. როგორც სხვა გაზეთები იუწყებიან, პირველი საჩივარი ზემოხსენებულს დაწესებულებას უყურადღებოდ დაუტოვებია, მეორე —შეუწყნარებია და ამ საქმის სასამართლოში გადაცემა უცვნია საჭიროდ.

*** დღეს, 16 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. თავის მიმომდინარე საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს შემდეგს რეფერატებს:

1) ალექსეევისას: Демонстрированіе карманнаго горизонтальнаго гальванометра Эдельмана, градуированнаго въ обсолютныхъ единицахъ силы тока, и электрода-реостата Пеирома.

2) ჩუევისას: Случай столбняка;

3) იმისავე: Къ этіологіи профессіональныхъ (войсковыхъ) болѣзней და

4) მამინოვისას: О желѣзистой лихорадкѣ Pfeiffer'а у дѣтей.

კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს კ. მესხს დაუწერია ახალი ისტორიული დრამა, რომელსაც სახელად ეწოდება: „სამშობლოს სადიდებლად“. დრამა დაწერილია ურითმო ლექსით, ისე როგორც ამ ავტორისავე პიესა „რუსთაველი“, შარშან წარმოდგენილი ჩვენს სცენაზე. პიესის შინაარსი მე-XIV საუკუნის ისტორიულს ცხოვრებას შეეხება. პიესაში მოქმედობენ: ლანგ-თემური, ბაგრატ მე-V დიდი, დედოფალი ანნა, მეუღლე ბაგრატისა და შვილი მათი დავით. დრამაში ის დროა აღებული, როცა მეფე-დედოფალი და შვილი მათი დაატყვევა აღმოსავლეთის მრისხანე მპყრობელმა. უმთავრესი მომქმედნი დიდისა და მძლავრის ხასიათის პატრონებად არიან დახატულნი ავტორისაგანაო, რომელსაც თავისი თხზულება უკვე წარუდგენია ცენზურისათვის ნება-დასართველად. სასურველია, რომ ეს პიესა ამ სეზონშივე იქმნას წარმოდგენილი ჩვენს სცენაზედ.

*** ხასავიურტი: ამ თთვის 13, ღამის სამს საათზე, აქ დიდი მიწისძვრა იყო.

*** სოფ. დიდი-ჯიხაიში. (ქუთაისის მაზრა), 5 ნოემბერს. ეს ორი კვირაა, რაც გაზეთში იყო დაბეჭდილი მამა კაპანაძის გაძარცვის ამბავი, რომელიც მოხდა 11 წარსულს ოქტომბრისას. ეს ამბავი-კი სრულიად არ იყო დაბეჭდილი და საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს განვუზიაროთ. სწორედ ერთის კვირის წინად იმ ბოროტ-მოქმედების ჩადენისა მაზრის პოლიციამ შეიტყო, რომ ავაზაკები აპირობენ თავად ალექსანდრე ჩხეიძის მოკვლასაო. მაზრის უფროსმა გაგებისათანავე თავისი საგანგებო მოხელე გამოგზავნა განკარგულების მოსახდენად, რომ ავაზაკებს ბოროტი განზრახვა არ განეხორციელებინათ. მობრძანდა მოხელეც თავად ჩხეიძისას, მაგრამ თ. ალექსანდრე ამ დროს იქ არ იმყოფებოდა—სოფელს დიმში იყო, თავისს მამულში. მოსვლისათანავე მოხელემ გამოჰკითხა საქმის ყოველივე გარემოება ალექსანდრეს ვაჟს და რა გაიგო, ს. დიმს ბრძანდებოდა თ. ჩხეიძე, მაშინვე თ. ჩხეიძის ვაჟითურთ წინ მისაგებებლად წავიდა, ჩვენში-კი ადგილობრივმა ბოქაულმა თავადის სასახლეს მცველები დააყენა. ამასობაში სოფელი შფოთავდა, ეგონათ თავადი ალექსანდრე მოკლულიაო. დიდი აურ-ზაური იყო. თუმცა გლეხობას დიდი მუშაობა (სთვლობა) ჰქონდა, მაგრამ ყველას მუშაობისათვის თავი დაენებებინა და გამვლელსა და გამომვლელს შესჩიოდა გზაზედ: ალექსანდრეს ამბავი ხომ არა იცით რაო? ამ ნაირს მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მკვიდრნი ორს დღეს და, როდესაც გაიგეს ალექსანდრეს მშვიდობიანობა, ღმერთს მად-

## ფელეტონი

### პავლიასტომის ტბა

(ამბავი გურულ გლეხის ცხოვრებისა)

#### I

გურიის დასავლეთის მხრის სოფლებისთვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასასყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის, საყიდელია და, კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლების გლეხს გარდასახადისთვის მიადგებიან კარზე და ფული-კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდები: „მაცა, ფოთს ჩავირბენ, ამოვიტან და მოგცემო“, ეუბნება გლეხი „ზბორშჩიკ“-ს ან ნაცვალს (გზირს). დილიდან საღამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და, ვინ იცის, რით არა, დატვირთული გურულები. ხე-ტყე ხომ აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს. ამიტომაც არის, რომ, როცა ხმა გავარდება: „ფოთი ყრუვდება, სხვაგან გადააქვთ“-ო (ასეთი ხმა ხშირია გურიაში), ზემოხსენებულ სოფლის გლეხებს ჯავრით გული უსკდებათ. მაგრამ ამისთანა სარგებლობასთან ერთი სახიფათო რამაც სჭირს გურულების ფოთს მისვლა-მოსვლას: აღმოსავლეთის კარებთან, საიდანაც გასასყიდელი რამეებით გამომგზავრებული გურულები უნდა შევიდნენ თავიანთის პატარა ვარცხლა-ნავებით, სდგას ერთი მრისხანე მეკლიტული, რომელიც ხანდახან ისე გაჯიბრიანდება, რომ მთელის კვირაობით, გურულად რომ ვსთქვათ, „აყურყუტებს“ (აცდევინებს) აქ ფოთს მიმავალს მგზავრს; თუ ზაფხულია, კოღოები სწევენ ქელეხს ამ საცოდავის მგზავრის სისხლზე, თუ ზამთარი, სიცივე უხვრეტავს ძვალრბილს. მშრალი ადგილიც ძვირია (მთელი აქაური არე-მარე ჩალით დამოსილი ჭაობია), რომ ცეცხლი მაინც დაინთოს კაცმა. მრისხანე მეკლიტული, რომელსაც მე მოგახსენებთ, გახლავთ „პავლიასტომის“ ტბა, რომელიც, თითქო შავს ზღვას გადმოუტორცხნია და დაუბარებია: „წადი, აღმოსავლეთის მხრით შენ უდარაჯე ქ. ფოთსა“-ო. თითქო შავს ზღვას უმზითვებია ამ პატარა თავის ნათესავისთვის შფოთიანობა, გახელება, ადამიანის მტრობა. როცა ქარი ამოიჭრება, „პავლიასტომი“-ც გაშავდება, გაპირ-კუპრიანდება, წამოიქოჩრება, პირზე თეთრს დორბლს მოიყენებს და ცასა და ქვეყანას ჩაყლაპვას უპირებს ეს პატარა ვეშაპი. თუმცა დიდი არ არის ეს ტბა, თვალმახვილი კაცი მის შუაგულიდან ადვილად დაინახავს იმისს ჩალიანს ნაპირებს, მაგრამ სიმარდე და ზნე-კი შავის ზღვისა აქვს, შავის ზღვისა, რომელთანაც „პავლიასტომი“ შეერთებულია გვარიანის, მოგრძო და ფართე სრუტეთი.

„პავლიასტომის“ შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა: ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ თურმე ხმელეთი იყო, ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს „პავლიასტომს“ ეძახდნენ. ერთს დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთს ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაჰფარა, აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაირჩო. მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარ-ანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის (გურიაშია) მთაზე და იქ შემდეგ ამ ხატს ეკკლესია აუშენეს; ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს, ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც სცხოვრობს სოფ. ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენად მართალია, ამისი-კი რა მოგახსენოთ. „პავლიასტომის“ ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონაწრეტსა და დაბლობში შეგროვებულს წყალსა ჰგავს, მინამ მიწის ძვრისაგან ამონახეთქსა, თუმცა-ლა შეუძლებელი-კი არც ამ უკანასკნელშია რამე.

ხსენებული ტბა სამეგრელოს თავადს, დადიანს, ეკუთვნის და მეთევზე მეგრელები აუარებელს თევზს იჭერენ შიგ თავიანთის „ღრიფი“-თ (დიდის ბადით). თუ როგორ გამხდარა სადადიანოდ „პავლიასტომი“, ამის შესახებაც ერთი ლეგენდარული ზეპირი გარდმოცემა არსებობს გურიის ხალხში: ერთი რაღაც შემთხვევის გამო სამეგრელოს თავადს, დადიანს, თავისი ვაჟიშვილი მიუცია გურიის მპყრობელ გურიელისათვის მძევლად. გურიელს მძევლის აყვანის შემდეგ კიდევ მაინც რაღაც ეჭვი აუღია დადიანზე—მღალატობსო. ამიტომ ახალის წლის წინა დღეებში მოუჭრია თავი მძევლად აყვანილ დადიანის ვაჟისთვის, ჩაუდვია ეს თავი ყუთში და უთქვამს: ვინც ამას ახალ წელს, დილით, დადიანს მიუტანს, გლეხი იქნება, აზნაურობას ვუბოძებ და აზნაური, — თავადობასაო. ერთს გლეხს უკისრნია მიტანა; შემჯდარა ცხენზე და სწორედ ახალწელს, წირვაზე წასვლის დროს, მიდა ურთმევია დადიანისთვის დაკეტილი კოლოფი— გურიელმა მოგ[illegible]. როცა დადიანს კოლოფის გასაღები მოუთხოვნია, გლეხს შემოუკრავს თავში ხელი: „ვაიმე, წუხელ სხვაგან ღამე გავათიე და იქ დამრჩენია“-ო. ამ სიტყვებით გლეხი მოხტომია ცხენს

ლობა შესწირეს და სიხარულის ნიშნად ბევრგან თოფის სროლაც-კი იყო. სწორედ, როგორც ეხლა აღმოჩნდა, პოლიციის მიერ ამ ამბის გაგების ოთხის დღის შემდეგ მაინც მოსულან ავაზაკები, ბინაც თვით ალექსანდრეს ეზოს ტყის ბოლოში გაუკეთებიათ და, რაკი ალექსანდრე ვერ მოუხელებიათ სახლში, გაუძარცვავთ მ. კაპანიძე,. გარდა იმ ოთხისა, რომლის დატყვევებაც „ივერიაშიაც“ იყო აღნიშნული, კიდევ დააპატიმრეს მოსამსახურე გ. ჩ—ძისა ბარძიმიშვილი, რომელსაც ჰბრალდებოდა ავაზაკების დაფარვა, და ი. ნემსაძე, რომელზედაც მიიტანეს ეჭვი ახალუხის ფერით.

*** ფოთი: ამას წინად აქაურ წიგნთსაცავის თანამგრძნობელებმა მოილაპარაკეს შესახებ იმის გაუმჯობესებისა. დამსწრეთაგან შეძლებისა დაგვარად ზოგიერთმა შესწირა ფული, ზოგმა რამდენიმე ცალი წიგნი, ზოგიერთმაც აღუთქვა წლიური გაზეთების გამოწერა. მომავალის წლიდგან აქაურს ბიბლიოთეკაში თორმეტამდე სხვა-და-სხვა გაზეთი იქნება: ქართული, რუსული, სომხური, და ბერძნული. თვთიურად გაზეთის მკითხველმა უნდა შეიტანოს ექვს-ექვსი შაური წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

---

## ქართული თეატრი

### ვ. ა. აბაშიძის ბენეფისი.

გუშინწინდელი წარმოდგენა სწორედ დღესასწაული იყო ქართულის სცენისათვის: როგორც თვით არტისტებმა, ისე თეატრში მოსიარულე საზოგადოებამ თავისი თანაგრძნობა და პატივისცემა აღმოუჩინეს ყველაზედ დამსახურებულსა და ნიჭიერს არტისტს ქართულის სცენისას ვ. ა. აბაშიძეს. მთელი თეატრის დარბაზი ავსებით იყო სავსე ნიჭის თანამგრძნობელ-პატივის მცემლებით და ამ დღემ აშკარად დაგვანახვა, რომ ნიჭის დაფასება ჩვენშიაცა სცოდნიათ და ნიჭს გზა ფართო აქვს დათმობილი.

სამწუხაროდ, წარმოდგენა უფრო ხალხის მოსაზიდავად იყო გამართული. მობენეფისეს ერთი მოქმედება ერთის ადგილიდგან ამოეგლიჯა, მეორე—მეორის ადგილიდგან და ასე შეედგინა მთელი ნუსხა გასართობისა. ჯერ წარმოადგინეს მეორე მოქმედება გ. სუნდუკიანცის კომედიიდგან „დაქცეული ოჯახი“, სადაც მობენეფისე საუცხოოდ ასრულებს გიქომოზეს როლს, მერე მესამე მოქმედება კ. მესხის დრამიდგან „ბაგრატ მე-IV“. ამ დრამაში მართლაც რომ მშვენივრად ასრულებს ბ-ნი აბაშიძე ტუსაღის აზნაურ გვიჩიას როლს და ბ-ნი გუნია—თვით იმერეთის მეფე ბაგრატისას. ეს ორივე პიესა არა ერთხელ უნახავს საზოგადოებას ჩვენს სცენაზედ წარმოდგენილი და ამიტომ არას ვიტყვით.

ამას შემდეგ წარმოადგინეს ახალი პიესა „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“, ორ-მოქმედებიანი ფარსი ავქ. ცაგარლისა. ეს პიესა ჩვენ რუსულს ენაზედაც გვინახავს. ბ-ნს ცაგარელს მხოლოდ გადმოუკეთებია და სცდილა ჩვენის ცხოვრებისათვის შეეფარდებინა როგორმე. სამწუხაროდ, ეს ცდა ცდადვე დარჩენილა, პიესა მეტად მოიფარსებს და წამ და უწუმ საზოგადოებას მხოლოდ ის ესმის, რომ ქუთაისისა და ტფილისისთვის ვითომ-და საოპერეტოდ „მშვენიერს ელენეს“ ეძებენ (?). პიესა თუ გადმოკეთებულად ჩაითვლება, მხოლოდ იმითი, რომ, გადმომკეთებლის სიტტყით, მოქმედება სასტუმრო „პურლევინოში“ სწარმოებს და ოპერეტის მომღერლის მაძიებელნი მახოხაშვილადა და ღომაძედ არიან წოდებულნი.

ამ ფარსმა საერთოდ საკმაოდ ცოცხლად ჩაიარა სცენაზედ, ყველანი თითქმის სცდილიყვნენ და როლებიც დაესწავლათ. ბ-ნი აბაშიძე და გედევანოვი კარგი ანტრეპრენიორები იყვნენ, გუნიას მართლაც ტრაგიკოსის შეხედულობა ჰქონდა და, წარმოიდგინეთ, ქ-ნ არღანისასაც-კი არა უჭირდა-რა, ამ საღამოს ჩვეულებრივზედ მეტი სიცოცხლე ეტყობოდა და როლიც ლაზათიანად დაესწავლა.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო მეოთხე, საკონცერტო განყოფილება წარმოდგენისა. ამ განყოფილებაში მონაწილეობას იღებდნენ მომღერალნი: ქ-ნი ძნელაძისა და ბ-ნნი ცხომელიძე და რატილი. საზოგადოება სწორედ აღტაცებაში მოვიდა, როცა ქ-ნმა ძნელაძისამ და ბ-ნმა ცხომელიძემ, რუსულს შემდეგ, ქართულად იმღერეს, პირველმა—„გულნარა“ და „ორთავ თვალის სინათლევ“ და მეორემ—„შენ გეტრფი მარად“. მეტადრე გრძნობით ნამღერი „გულნარა“ ისე მოეწონა ხალხს, რომ რამდენჯერმე გამოიწვიეს მომღერალი-ქალი და თაიგულიც-კი მიართვეს.

ერთი რამ შევნიშნეთ წარსულს წარმოდგენაზედ. როდესაც ფარსს არდგენდნენ და დარია ჭანჭურაძისამ მღერა დაიწყო, ამ დროს ქანდარაზედ ვიღაც კაცი იდგა და ხელებით ანიშნებდა იქ მყოფს ტაშის დაკვრისა და შეწყვეტის დროს. პირველად ვხედავთ ჩვენს თეატრში „კლაკიორებს“. აქამომდე არა ყოფილა და სასურველია, რომ არც ამას იქით შემოვიდეს ჩვეულებად. კიდეც ამას მიეწერება ის გარემოება, რომ ზოგიერთ არტისტის გალობის დროს ქანდრიდგან გახშირებული სტვენა მოისმოდა. მივაქცევთ თეატრის ადმინისტრაციის ყურადღებას და, იმედია, ეცდებიან ამ მავნე მოვლენის აღმოფხვრას.

განსაკუთრებით-კი მობენეფისეს ეგებებოდა სიხარულითა და აღტაცებით საზოგადოება. ამ საღამოს ბ-ნს ვ. აბაშიძეს მიართვეს: შავის ლითონის საათი ძეწკვითურთ და ძვირფასი ვეფხის-ტყაოსანი—ამხანაგებმა, ვერცხლის ჰიქა—ქართველმა ახალგაზრდობამ, ორი ვერცხლის შანდალი—ქალიშვილმა ტასომ, ვერცხლის სათამბაქოე—თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილმა, ორი სურათი—ქართველმა მხატვრებმა, დაფნის გვირგვინი—ტფილისის საზალოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა და, ამას გარდა, საზოგადოებამ იქვე მოაგროვა ათ თუმნამდე ფული და მობენეფისეს მიუძღვნა.

მანოელიძე

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ხევი**, ნოემბრის 1-ს, ქვეშეთის საბოქაულოს ახლად გამოყვანილი ჯარის-კაცები იყვნენ მოწვეულნი მე-III შესაკრებელს ალაგს, მლეთეს, რიცხვით სულ 248 კაცი—ამათ შორის 22 კაცი პირდაპირ ჯარში წასასვლელად, ხოლო დანარჩენი 226 კაცი-კი სამხედრო წოდებაში ჩასაწერად და მოწმობების მისაღებად.

თავმჯდომარემ ბ-ნმა ლ. გ. მუხრან-ბატონმა ჯერ წაიკითხა სიები სამხედრო ბეგრის გადასახდელად მოწვეულთა და მერე კრებულითურთ შეუდგა იმათ წლოვანობის გარეგნად შეხედვით შემოწმებას, რომელნიც უმეტრიკოდ იყვნენ მიწვეულნი.

ამის შემდეგ გამოარჩიეს ისინი, რომელთაც ოჯახის მდგომარეობისა გამო 1, 2 და 3 შეღავათ-პატივობა ეკუთვნოდათ და ბოლოს უყარეს ყველას ერთად კენჭი.

კენჭის ამოღების შემდეგ მკურნალებმა ბბ-ნთ გაბაშვილმა და იულსკიმ შეამოწმეს ყველანი და ფიცი მიიღო იმ 22 კაცმა, რომელთაც კენჭით ხვდათ ჯარში წასვლა; ყველა ამის გარჩევას სამხედრო ბეგრის კრებული მოუნდა ექვსს დღეს.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ მოწვევა ახლად გამოყვანილ ჯარისკაცთა მეტად ცუდს დროს ხდება ჩვენში. ნოემბრის პირველს დღეებში, ჯერ როცა კარგი ამინდებია, მაშინაც საკმაოდ ცივა ხოლმე და როცა ისეთს ამინდებს დაიჭერს, როგორიც იყო, მაგალითად, ამ წელს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, რომ ხალხს ძლიერ შეაწუხებს.

ორის წლის წინად, ნოემბრის 20-ს, მოხდა ახლად გამოყვანილ ჯარის-კაცთ მოწვევა კენჭის ამოსაღებად; 2 წლის შემდეგ მთავრობამ 20-ის მაგიერად ნოემბრის 1-ლი დანიშნა, რომ ხალხი სიცივით აღარ შეწუხებულიყო, მაგრამ ესეთმა ცვლილებამაც წელს დიდი შეღავათი არა მისცა-რა ხალხს, რადგანაც 31 ოქტომბრიდგან აცივდა და საკმაოდ დიდი თოვლი მოვიდა მლეთეში.

ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-ნმა ფ—ძემ ახლად გამოყვანილი ჯარისკაცები კარგად დააბინავა, მლეთის დუქნების გათბობილს ოთახებში მისცა ბინა, მაგრამ დანარჩენები, ე. ი. ამ ჯარის კაცთ მიზეზით იქ შეკრებილი ხალხი-კი, დუქნებში რომ ალაგს ვეღარ შოულობდა, მლეთეს სოფლად ადიოდა, და იქ იფარებდა თავს საყინულესავით ცივს კალოებში *). ცუდის ამინდის გამო სიცივისაგან შეწუხებული ხალხი, სოფლიდამ დუქნებში ჩამოდიოდა ღამე, სვამდა არაყსა და ღვინოს, ითვრებოდა და ჩხუბს ახდენდა ერთმანეთში, ასე რომ თითქმის ადგილობრივი ადმინისტრაცია ზოგჯერ მთელის ღამეობით უნდებოდა იმათ დამშვიდებას, დამწყნდევით თუ დატუქსვით. ერთს ამისთანა ჩხუბში სოფ. სტეფანწმინდაში მცხოვრებელს მოხუცს ივანე ჩობიკაშვილს მთიულებმა ისე ჩამოაჩეხეს თავი, რომ დღესაც ლოგინად არის ჩავარდნილი.

ყველა აქ ჩამოთვლილის მიზეზის თავიდამ ასაცილებლად, საჭიროა, მთავრობამ ნოემბრის 1-ის მაგიერად ოქტომბრის 1 ან 15 დანიშნოს ახლად გამოსაყვან ჯარის-კაცთა კენჭის ამოსაღებად და ანუ მე-4 შესაკრებელ ალაგად მთას აქეთელებისათვის კობი მაინც დაინიშნოს.

ამისთანა ცვლილების შემოღებით დიდი შეღავათი მიეცემა ხალხს მით, რომ ასცილდება სიცივისაგან შეწუხება და უწყალოდ ფულის ხარჯვა. ეს ერთი, და მეორეც, კვირა ნახევრობით საქმეზედ ხელის აღება შორს მანძილზე გზის გადგომით აღარ დასჭირდება.

კიდევ კარგი, რომ მთას აქეთელებმა ამ უკანასკნელის თოვლის ჩამოყრას მთას აქეთ გადმოასწრეს და მთას იქით არ დარჩნენ. 6-ს ნოემბერს კენჭის ამოღების საქმე გათავდა, 7-ს მთა გადმოიარა ხალხმა, 8-ს კვალდა გაავდარდა, 8, 9 და 10 ითოვლა და 11 გამოიდარა; თოვლი

*) მთიულები კალოს ეძახიან შენობას, რომელშიაც ძნა აქვთ გასალეწავად შეტანილი და არის აშენებული საცხოვრებ სახლის ბანზედ.

---

და გამოუწევია შინისკენ, ვითომდა კლიტის მისატანად. როცა დადიანს დაუნახავს, ყუთის მომტანი გლეხი აღარ დაბრუნდაო, გაუტეხია ყუთი უნახავს, რაც იდო შიგ—თავის შვილის თავი. ამაზე ატეხილა გურიელსა და დადიანს შორის ჩხუბი. უკანასკნელ, როგორც ყოფილა მორიგებულან და დადიანს თავის შვილის სისხლში გურიელისაგან „პავლიასტომის“ ტბა აუღია.

„პავლიასტომსა“ და გურიის სოლებს შუა რიგ-რიგად, უშველებელ ზოლებივით, მდებარეობს ჯერ სოფლის ბოლოს საყანე და საბალახო ადგილები, მერე დიდი, თუმცა-ღა ჭაობიანი, მაგრამ სხვა-და-სხვა ხეებით მდიდარი ტყე და უკანასკნელ ისლით და ჩალით დამოსილი ადგილი, რომელსაც გურულები „ეწერს“ ეძახიან. კარგი სანახავია ეს „ეწერი“ გაზაფხულზედაც თავისს თვალის წარმტაცის სიმწვანით და შემოდგომაზედაც ჩალის ფერის სიყვითლით. თვალს იტაცებს, მაგრამ კიდეც ატყუებს: იქ, სადაც თვალს ხავერდით მოფენილი ჰგონია არე-მარე, ჭაობსა და დამპალს წყალში გეფლება ფეხები. კარგი რამ არის ეს „ეწერი“ მონადირისთვის მაშინ, როცა დასთოვს და გაჰყინავს: ვეღარსად ემალება მონადირის ძაღლებს აქ გამოდევნილი ღორი, ან შველი. ტყესა და „ეწერს“ ჰხაზავს აუარებელი პატარა მდინარეები (გურულად „ნოყო“), რომლებისგანაც შესდგება ორი სანავო და სატივო მდინარე. ეს სანავო მდინარეები იწყება სოფლების ბოლოდან და ჩაერთვის „პავლიასტომს“.

II

ქრისტეშობისთვე იყო. საშინელი ცუდი დარები დაეჭირა: ხან ჰქროდა და წვიმდა, ხან „ხოშკაკალს“ ჰყრიდა, ხან თოვლსაც ურევდა. როცა მოიწმენდდა, ყინვა სწვავდა ყველაფერს. ბედნიერი ხალხი, ესე იგი მდიდრები, მამულიანები, უფროსები ამ დროს დაღუღუნებულს, თბილს ბუხართან ისხდნენ და სხვა-და-სხვა შესაქცევარით იქცევდნენ თავს. მაგრამ მუშა გლეხს, რაც გინდა რა დარი იყოს, მაინც არ შეუძლიან მოისვენოს; გლეხმა კარგად იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მორიდება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არას დროს არ ისვენებს, არც დარში და არც ავდარში, ეწევა უღელს, სახამ სიკვდილი არ დაახუჭვინებს თვალებს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვსთქვით, საშინელი ცუდი დარები იდგა, „პავლიასტომის“ ტბის მახლობელს ტყეებში გაისმოდა ცულის ხათქა-ხუთქი და წამ და უწუმ—ხის წაქცევისაგან გრიალი,—მუშა გასეოდა ტყეებს და ამზადებდა ფოთს გასაყიდს ხეებს. მუშაობდნენ, ავდრის და სიცივის მიუხედავად, დასველებულები, სიცივისაგან ხელ-ფეხ დაწითლებულები, მუშაობდნენ მოუსვენრად და ღამით დაქანცულ-დაღლილები ეყრებოდნენ აქა-იქ ფარღალალა კარვებში, ცეცხლის პირას დასაძინებლად. ვისაც ნაბადი ჰქონდა, ეხვევოდა ნაბადში და უმეტესობა-კი ისე გაუხდელად, სველის ტანისამოსით მიეგდებოდა დილამდე წკნელის ლოგინზედ და ხის მუთაქაზედ. ბევრს კარავში წვეთი და წვიმის წყალიც ჩადიოდა, რადგანაც მუშას ვერ მოეცალა ხეირიანად კარვის სახურავის გასწორებისათვის.

ტყე, რომელშიაც ეხლა მუშაობდნენ გლეხები, ერთს დროს ეკუთვნოდა სოფლებს; ყველა წოდების კაცი, ყველა, დიდი და პატარა თავისუფლად თევზაობდა, ნადირობდა და მუშაობდა შიგ; მოდავე და მოცილე არსაიდან ჩანდა, იმას გარდა, რომ ხანდახან ერთი სოფელი მეორე სოფელს დაედავებოდა—ესა და ეს ნაჭერი ტყე არა მე მეკუთვნის და არა შენო; ართმევდნენ ერთმანეთს დამუშავებულს ხეებს, უფუჭებდნენ ნამუშავარს, მაგრამ ბოლოს საქმე ისევ მორიგებით თავდებოდა. მერე კიდევ ასეთი შემთხვევა ხშირი არ იყო,—ოცს, ან ათს წელში ერთხელ მოხდებოდა. მაგრამ უკანასკნელ, როცა ტყის სარგებლობა გაიგეს, გლეხების მიანაწილე თავად-აზნაურობამ მოინდომა გლეხების თავიდან მოშორება; ჯერ ნელ-ნელა დაუწყეს ღრინვა—გლეხს კანონის ძალით ტყე არ ეკუთვნის, ტყე ჩვენიაო. მაგრამ გლეხები ყურსაც არ იბერტყავდნენ ასეთს ღრინვაზე. შემდეგ, რა ნელ-ნელა ღრინვით ვერას გახდნენ, თავად-აზნაურებმა დაუწყეს გლეხების დამუშავებულს ხეებს ტაცება. რასაკვირველია, წინდაწინ უფრო ჯაბანს გლეხებს უბედავდნენ წართმევას, მაგრამ შემდეგ აღარც მძლავრებს დაერიდნენ. ეხლა-კი გლეხებმა გაახილეს თვალი, დაუწყეს იმათაც სამაგიეროს გადახდა და ამ მხრივ კიდეც გადააჭარბეს თავიანთს მოწინააღმდეგეებს. რადგან გლეხობა ბევრი იყო და მათ წინააღმდეგ ძალით ვერას გახდებოდა, თავად-აზნაურობამ მიჰმართა პოლიციას: დღეს ერთს გლეხს ადებდნენ ბრალს და აბარებინებდნენ პოლიციაში, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ასე ამ გვარად. პოლიციის საშუალებით აპირებდნენ მათს გადევნას ტყის მონაწილეობიდგან, მაგრამ გლეხობამ ეხლა სხვა ღონეს მიჰმართა: ისინი შეერთდნენ და სამუშაოდ, თუ წასართმევად, ერთად მიდიოდა ტყეში მთელის სოფლის გლეხობა. თავად-აზნაურობისკენ გადამდგარმა პოლიციამ, რასაკვირველია, აქაც თავისი ხერხი იხმარა,—დააპირა გლეხების დატუქსვა. მაგრამ „თავს დავიხოცთ და ჩვენს სარჩოს ხელიდგან ვერ გუშვებთ, რაც უნდა გვიყოთო“, იყო გლეხების მხრით პასუხი. პოლიციამ სცადა კიდევ თითო იქროლა თავ კაცის გამოკლება გლეხებისა-

დიდი მოვიდა, ასე, რომ ხევს ბარად ზოგან 1 არშინი აქვს სიმაღლე და ზოგან-კი უფრო მეტიც.

გ. ბედოშვილი

# უცხოეთი

**გერმანია.** რაკი გადასწყდა, რომ თავადი ბისმარკი კვლავ უნდა მოვიდეს ბერლინშიო, ჟურნალ-გაზეთებმა ასტეხეს ბაასი იმის შესახებ, თუ რა გვარი ურთიერთობა ჩამოვარდება ბისმარკსა და იმპერატორს შორისაო. ამასთანავე გაიხსენეს ბისმარკის მიერ სამსახურისთვის თავის დანებების ამბავიც. ერთი შვეიცარიული გაზეთი შემდეგსა სწერს ამ ამბის შესახებ:

„1890 წ. 3 მარტს, დილის 8 საათზედ, როდესაც ბისმარკი ისევ ლოგინში იწვა, მოახსენეს, იმპერატორსა ჰსურს თქვენი ნახვა გრ. ჰერბერტ ბისმარკის სახლში, სახელმწიფო მდივნის გამგეობაშიო. როდესაც ბისმარკი შევიდა ოთახში, იმპერატორმა საყვედურით შემდეგი სიტყვები უთხრა. „ამ რამდენისამე ხნის წინად თქვენ მინისტრებს აღუკრძალეთ მოხსენებათა პირდაპირ ჩემთან წარმოდგენა, მაგრამ მე მსურს, რომ ისინი პირდაპირ მოვიდნენ ხოლმე ჩემთანა“.

— „თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა ბისმარკმა: კანონის ძალით ეგ მხოლოდ მე შემიძლიან; ეს ყოვლად საჭიროა, რომ მთავრობის მოქმედებას ერთიანობა და ძალა შერჩეს. თუ ამ უკანასკნელს დროს რამდენიმე მინისტრი პირდაპირ თქვენ უდიდებულესობასთან მოდიოდა, ეს კანონის წინააღმდეგ ხდებოდა, რადგან ამის ნება მხოლოდ თქვენის უდიდებულესობის კანცელერსა აქვს მინიჭებული; ხოლო, თუ გნებავთ, შეიძლება შევცვალოთ ეს კანონი“ — „სწორედ ამ გვარადვეო — განაგრძო იმპერატორმა: სცდილობთ მუშათა საქმეშიაც ხელი შეუშალოთ ყოველსავე ჩემ მიერ დაწყებულს. მე მსურს, რომ რა ღონესაც მე ვსცნობ საჭიროდა და სასარგებლოდ, შეუცვლელად განხორციელებულ იქმნას“.

— „მე არ ვეწინააღმდეგი თქვენის უდიდებულესობის მიერ საჭიროდ ცნობილ ცვლილებათ, მაგრამ ჩემი დიდის ხნის გამოცდილება მასწავებს, რომ იმ ცვლილებათ ჯერ დიდი შემუშავება სჭირია, რის შესახებაც კიდეც მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას“. — „არა, არა, ჩემს ბრძანებებს ავათარი შემუშავება არა სჭირია, სწორედ ისე უნდა აღსრულდეს, როგორც მე ვბრძანებ“. ამ მკაცრმა სიტყვებმა კანცელერსაც აცვლევინა ლაპარაკის კილო. „ვხედავ, რომ თქვენი უდიდებულესობა არ იწყნარებს ჩემს სამსახურსა“. იმპერატორმა უსიტყვოდ გასცა ამაზე პასუხი, მაგრამ ბისმარკი ადვილად მიჰხვდა. მაშ თუ ეგრეა, თქვენო უდიდებულესობავ, სხვა აღარაფერი არ დამრჩენია. გარდა იმისა, რომ სამსახურს თავი დავანებო. მხოლოდ გთხოვთ, მაისამდე კიდევ დამტოვოდ ამ თანამდებობაზე, რომ რეისტაგში სამხედრო კანონ-პროექტი დავიცვა. მეშინიან, ვაი თუ ჩემმა მოადგილემ ვერ შესძლოს ოპპოზიციასთან ბრძოლა და კანონ-პროექტი ვერ შეაწყნარებინოს.“ როდესაც კანცლერი ლაპარაკობდა, იმპერატორმა რამდენჯერმე გაიქნია თავი და ბოლოს სთქვა: „არა, არა!“ ბისმარკმა მდუმარედ დაუკრა თავი და მხოლოდ იმას-ღა ელოდდა, რომ იმპერატორს ნება დაერთო წასვლისა. რამდენსამე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ იმპერატორმა კვლავ აღელვებით დაიწყო: „ცოტა რამ კიდევ უნდა გითხრათ შესახებ თქვენის საიდუმლო მოლაპარაკებისა დ-რს ვინდგორსტთან. ვიცი, რომ ის თქვენსა იყო, ინახულეთ, მე გიკრძალავთ მაგ ამბებსა.“ აქ-კი კანცლერი მოთმინებიდგან გამოვიდა: „ვიცი, რომ ამ უკანასკნელს დროს გარშემო ჯაშუშები მახვევიან, რომელნიც ყოველს ჩემს ფეხის გადადგმას ყურს ადევნებენ. მართალია, მე დ-რი ვინდგორსტი მოვიწვიე, მაგრამ ამისი არა თუ ნება მაქვს, არამედ მოვალეობაც და ვერც ვერავინ დამიშლის, თქვენი უდიდებულესობაც-კი“. ამ მკაცხრის სიტყვების შემდეგ იმპერატორმა ჩუმად დაუქნია თავი და ნება მისცა წასვლისა.

ამ ამბის აღმწერი გაზეთი ამბობს, რაკი ასეა საქმე, ბისმარკისა და ახალგაზდა იმპერატორის შერიგება ყოვლად შეუძლებელიაო.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ვარშავის ქართველი სტუდენტები უგულითადესს მადლობას უძღვნიან შემდეგ დაწესებულებათა და კერძო კაცთა, რომელთაც ინებეს შემოწირვა თავიანთ გამოცემათა და წიგნებისა ვარშავში ახლად დაარსებულ ქართულ წიგნთ-საცავისთვის: „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, რომლისაგანაც მივიღეთ წიგნები, 8 მ. და 25 კ. ღირებული; „ქართულ წიგნების გამომცემელს ამხანაგობას“, რომელმაც გამოგვიგზავნა ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი, ქართული ზღაპრები და დაგვპირდა ყველა თავის ახალ გამოცემათა გზავნას; „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციას, რომელიც გვიგზავნის თავის გაზეთის თითო ნომერს; „ტფილისის ფურცლის“ რედაქციას, რომელიც გვიგზავნის თავის გაზეთის თითო ცალს; ი. გოგებაშვილს, რომელმაც შემოსწირა 1 მ. და 75 კ. ღირებული წიგნები; მ. ჯანაშვილს, რომელმაც შემოსწირა 2 მ. და 50 კ. წიგნები; ანტონ ფურცელაძეს, რომელმაც შემოსწირა თავისი თხზულებები 2 მ. და 85 კ. ღირებული; ალ. ჭყონიას, რომელმაც შემოსწირა თავისი თხზულება: „ისტორიული ნარკვევი“; დ. კარიჭაშვილს, რომელმაც შემოსწირა თავისი მოთხრობა: „სამი სხვერპლი“; თ. ჟორდანიას, რომელმაც შემოსწირა მის მიერ შედგენილი ქართული გრამმატიკა; ალ. როინაშვილს, რომელმაც შემოსწირა ორი ცალი „ძმური სიტყვა“, 50 კ. ღირებული; თ. სახოკიას, რომელმაც შემოსწირა თავის თარგმანი „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, ერთი ცალი.

ნ. შენგელია

ქ. ვარშავა.
2-ს ნოემბერს.

### II

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნს ბაბილინა ბებურიშვილისას რომლის თაოსნობითაც შეკრებილ იქმნა ას რვა მანეთი (108 მანეთი) „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავის“ სასარგებლოდ. მადლობასავე ვუცხადებთ ამ სიაში დასახელებულთ, რომელთაც შემოწირეს ამ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ: თვით ქ-ნმა ბ. ბებურიშვილისამ 10 მანეთი, ნ. ს. კახიანისამ ათი მანეთი, ქ. ს. ტატიევისამ სამი მანეთი, სენაკის მაზრის უფროსმა გ. გ. ბებურიშვილმა ათი მანეთი, სენაკის მაზრის თავად - აზნაურების წინამძღოლმა თავ. ი. დადიანმა ათი მანეთი, გენერალ მაიორმა თავადმა ნ. ჩიქოვანმა ოთხი მანეთი. თავადმა შამშე მხეიძემ ათი მანეთი, სამსონ ყიფიანმა ხუთი მანეთი, სოფრომ ჭუბაბრიამ ხუთი მანეთი, თავადმა ნიკო მიქელაძემ სამი მანეთი, თავ. ალ. მიქელაძემ სამი მან. თავ. ვლ. აბაშიძემ ორი მანეთი, ბ-ნმა ნიკოლოზ მურატოვმა სამი მანეთი, კ. ადონაიამ სამი მანეთი, ივლიანე გოგოლაშვილმა სამი მანეთი, იასონ ნიკოლაიშვილმა სამი მანეთი, მოსე ბურჯანაძემ სამი მანეთი, სიმონ მჭედლიძემ სამი მანეთი, ლავრენტი აღლაძემ სამი მანეთი, ნესტორ მკსხმა სამი მანეთი, ნიკო ჯიჯიხიამ ორი მანეთი, მიხეილ გროდსკიმ სამი მანეთი, გიორგი ვარდანაშვილმა ორი მანეთი და სოლომონ საბაშვილმა ორი მანეთი.

გამგეობა „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავისა“.

ნოემბრის 6-სა

# დღეში

14 ნოემბერი

**ორიოლი.** გუშინ გამოათრიეს ვაგონები მდ. ოპტუხადგან. ქსენონში 8 დაშავებული დააწვინეს. ხიდის მახლობლად 30-მდე მკვდარი კაცი ძევს.

**ბერლინი.** ნამდვილის წყაროებიდამ სჩანს, რომ ვირსის მოგზაურობას კერძო ხასიათი აქვს; სახელმწიფო კაცთა ნახვა ამტკიცებს, რომ მშვიდობიანობა დაცულ იქმნება. ჩვენის პოლიტიკის მიმართულებას არავითარიმე ცვლილება არ ეტყობა.

## პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 88 | 8, | 87 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 167 | | 167³/₈ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 19 | — | „ | — | „ |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236¹/₂ | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . | 215¹/₂ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 200 | | — | „ | 202 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | „ | — | „ | — | „ |
| 6⁰/₀. . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ქ—რე—სლ პეტას.** თქვენი „ცხრა მუზა“ არ გამოგვადგება.

**ქ. მ—ვი. გ. გ—ას.** თქვენი „გამიგონეთ“ დაიბეჭდება.

**ქ. ი. სიმნოს.** რაც თქვენს „სამწუხარო“ წერილში სწერია, ის არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა დაწერილიც, ნათქვამიც და ამიტომ იმისი განმეორება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

**ქ. ო—სა. დ—უს.** თქვენი „საზარი სურათები“ არ დაიბეჭდება.

**სოფ. ლ.-ხ—ვი. დ—თ ბ—ილს.** ხალხური ლექსები-კი არ ვარგა და სცენა-კი იქნება როგორმე გამოვიყენოთ.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ - გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე

---

გან და დატუსაღება, მაგრამ გლეხები არც ამით იღებდნენ ტყის სარგებლობაზედ ხელს: „თუნდ სულ თითო-თითოობით სატუსაღოში გამოგვალპეთ, ჩვენს ლუკმას მაინც პირიდან ვერ გამოვიღებთ“-ო, იმეორებდნენ ისინი. აქ მართლადაც პოლიცია ვერას გახდა და თავად-აზნაურობამ მიჰმართა სამსჯავროს კარებს. აქაც კარგად მიდიოდა გლეხების საქმე, რადგანაც თავად-აზნაურობაში განხეთქილება მოხდა, ისინი ერთმანეთთან დავას მოუნდნენ და გლეხებისთვის აღარ ეცალათ. თავადები საკუთრად ჩემობდნენ მთელს ტყეს; აზნაურები ამბობდნენ, რომ თითოეულის თავადის ოჯახსაც იმდენი წილი აქვს ტყეში, რამდენიც თითოეულ აზნაურის ოჯახსაო. აიწეწა საქმე თავად-აზნაურობაში. რა რომ საქმე აწეწილი დაინახეს, ხაზინა და ეკკლესიაც წამოყელყელავდა: იქნება ჩვენც დავიჭიროთ ამ მღვრიე წყალში თევზიო, — ასტეხეს იმათაც დავა და ამტკიცებდნენ, რომ სადავო ტყე არც გლეხებს ეკუთვნის და არც თავად-აზნაურობას — საეკკლესიოა და სახაზინოაო. ისე დაიხლართა საქმე, რომ სამსჯავროებს მოსვენება აღარა ჰქონდათ იმისაგან; ვინ იცის, საიდან არ გამოჩნდნენ ადვოკატები! ერთს ადვოკატს-კი აღარ სჯერდებოდნენ მოცილეები, ორსა და სამს იყენებდა თვითოეული მათგანი. მხოლოდ გლეხები-კი არას დაგიდევდნენ. დარწმუნებულნი, რომ თუ კანონი არსებობს ქვეყანაზე, ჩვენს წილს ტყეს ვერავინ ჩამოგვართმევსო“, დამშვიდებით განაგრძობდნენ ტყის სარგებლობას; ძალით ვერც ერთი მოცილე ვერარას აკლებდა და სამსჯავროში-კი თავად-აზნაურობის და ხაზინის აგენტის განცხადება — გლეხ-კაცს, თუ არავისგან შეუსყიდია და დოკუმენტი არ აქვს, ისე უძრავის ქონების დასაკუთრება არ შეუძლიაო, სამსჯავრომ არ მიიღო: — ათის წლის სარგებლობა სრულიად საკმარისია, რომ უძრავი ქონება მოსარგებლემ დაისაკუთროს, რა წოდებისაც უნდა იყოსო, იყო სამსჯავროს მხრივ პასუხი. მოცილენი რა დარწმუნდნენ — საქმე ძალიან არეულ-დარეულია, სამსჯავროში საქმეს ბოლო არ ეღება და გლეხებსაც ტყის მონაწილეობითგან ადვილად ვერ გავდევნითო, ხრიკს მიმართეს: დაუფაცურდნენ გლეხებში განხეთქილების ჩამოგდებას; თავადები თავიანთს ნაყმევებს ეუბნებოდნენ: — „თქვენ არ გეუბნებით უარს და სხვისი რა დარდი გაქვთ, ტყუილად ან თქვენთვის რად ჰკარგავთ ტყეს და ან ჩვენ რად გვიკარგავთ! მოგვიწყეთ ხელი, გავდევნოთ სხვა მონაწილეები და მერე ჩვენ გავიყოთ ტყე“-ო. ამასვე ეუბნებოდნენ აზნაურები თავიანთს ნაყმევებს! ამასვე ეუბნებოდა ხაზინა და ეკკლესია სახაზინო და საეკკლესიო გლეხებს.

უმნიშვნელოდ არ ჩაიარა ამ ხრიკმა: დაიწყო ნელ-ნელა რღვევა გლეხების ერთ-პირობამ; ზოგი თავადებს ეკედლებოდა, ზოგი — აზნაურებს, ზოგი — ხაზინას. დარჩა მცირე ნაწილი გლეხობისა თავისთვის. მაგრამ რაღა დარჩენა იყო იმისთანა დარჩენა! ის გლეხები, რომელთაც მათ უღალატეს, ილაჯს უწყვეტავდნენ, თუ ხის წართმევით, თუ ცრუ მოწმობით. ისე თითვე არ წავიდოდა, რომ ამათ შორის თავ-პირის მტვრევა არ მომხდარიყო. ვინ იცის, რა ღონეს არ ხმარობდნენ ერთმანეთის დასაღუპავად! ჩუმად ცეცხლს უკიდებდნენ ერთი მეორის სახლ-კარს და ცეცხლს აბუგვინებდნენ ვაი-ვაგლახითა და ოფლით მონაგარს სარჩო-საცხოვრებელს! გზებზე თოფით უხვდებოდნენ და ჩუმად ჰკლავდნენ ერთმანეთს; ცილს უგონებდნენ და სისხლის სამართალში აძლევდნენ. თავად-აზნაურობა, რომელმაც ასე გადაჰკიდა ერთმანეთს გლეხები, გულში იცინოდა და თავისს საქმეს იკეთებდა. გადაბირებულ გლეხების შემწეობით და ცრუ-მოწმობით ბოლოს იმათ მოიგეს საქმე დანარჩენის გლეხებისაგან და ეხლა დაუწყეს საჩივარი ზიანის, ტყის ბაჟის და სამსჯავროში ნახარჯის შესახებ; ესეც მოიგეს, ჩაუყენეს გლეხებს ბოქაული და, სულით ხორცამდე რაცკი ებადათ, სულ ვალში გაუყიდეს. ცრემლები გადმოგცვიოდათ, როცა სახლს, ბეღელს, საქონელსა და სხვას აცლიდნენ გლეხებს ხელიდგან და ცალიერს ჰყრიდნენ ცა-წმინდას ქვეშე!

გლეხები ხომ მოიშორეს თავიდან, ეხლა თავად-აზნაურობას დარჩა მოცილედ ხაზინა და ეკკლესია. რომ ესენიც მოეშორებინათ, საჭირო იყო იმათი (თავად-აზნაურობის) ერთმანეთში მორიგება. მორიგდნენ კიდეც. მორიგების შემდეგ მათი საქმე კარგად წავიდა: ხაზინისა და ეკკლესიისაგან ტყის საქმე მოიგეს. ის გლეხებიც, რომლებიც გადაბირებული ჰყავდათ და ვითომც ტყეში მონაწილედ ცნობილობდნენ, პირში ჩალა-გამოვლებული დასტოვეს და უბაჟოდ ერთს ღერს წკნელსაც არ აჭრევინებდნენ.

აი ეს ტყე იყო, რომელშიაც დღეს გლეხები ხეებს თლიდნენ ფოთს წასაღებად. დამზადებულის ხისაგან ნახევარი ტყის პატრონებისთვის — თავად-აზნაურებისთვის უნდა ჩაებარებინათ ტყის ბაჟში. იმ დროისა, როცა გლეხებსაც საკუთარი წილი ჰქონდათ ამ ტყეში და ბაჟს არავინ ახდევინებდა, მხოლოდ გლეხების მიერ დარქმეული სახელ-ბილა შერჩენოდა ადგილს და წყლებს, მაგალ. „მჭედელაის საღობი“, „საფარონე“ („საღობი“ და „საფარონე“ თევზის დასაჭერი ადგილებია ხსენებულს ტყეში) და სხვ.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორიე გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საagენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

---

# განცხადებანი

ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიაში 14 ამ ნოემბრიდან ისყიდება ყვავილები შემოწირული უფ. მიერისაგან დამშეულ ხალხის სასარგებლოდ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძასა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . . | „ | 45 |
| იავნანამ რა ჰქნა? სმყაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |
| გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი „ II სტერეომეტრია „ III უმდაბლესი გეოდეზია „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლაგარითმოსის ტაბლიცებისი . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи, томъ I А. А. Цагарели. . . . . . | 3 | „ |

---

„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) „ 40 კ.
კედლის კალენდარი 1892 წლისა . . . . . . „ 40 კ.
თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი . . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.
საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.
იგივე მშვენიერის ყდით „ 80 კ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვ. ჰიუგოსი ფრანგულით თარგმ. თ. სახოკიას-მიერ . . . . „ 30 კ.
მაჭმადიანთ ლექსები, დამატებით ზ. ჭიჭინაძისა . . . . . „ 10 კ.
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . . . . . „ 40 კ.
აქავე ისყიდება „სამი კომედია, აქ. ცაგარელისა „ 60 კ.
„თორნიკე ერისთავი“ აკაკისა . . . . 1 მ. „

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

---


**ა. რალლე და ამხ.**
მოსკოვში
სასახლის იჯარადარი
ა. რალლეს და ამხ.
ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:
**ხავერდის პუდრა**
**ფერადი საპონი გლიცერინისა**
**კვერცხის საპონი**
ყვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი
ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—4)

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 18 აპრილის მე-87 №-ში

Z—BOUQUET. ‖ Z—დუხი.
ახალი, მეტად ძვირფასი, მაგრამ მეტად მშვენიერი დუხია
**რ. კელერისა და ამხ. ქარხანსა მოსკოვში**
უნდა გამოიწეროთ როგორც რუსეთის პარფიმერიის საუკეთესო ნიმუში.
ყველა საუკეთესო მაღაზიაში ისყიდება ყველგან.
(5—0—3)


---

**სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის სამზრუნველო** ამით აცხადებს, რომ ამ სამზრუნველოს საბჭოში ამა 1891 წლის 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, განუმეორებლად გამართული იქნება საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ამა სემინარიის უძრავის ქონებისა, რომელიც შემოსწირა არუთინ ოქოევმა და რომელიც იმყოფება რიყეზედ, № 46. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—129—3)

---

ექვსი დღიური სარწყავი მიწა, სახლის ადგილი, საზაფხულო სადგომად გამოსადეგი, ვენახი, საბაღე და სახნავი მამული სოფელს ბერბუკში, რომელიც $1^{1}/_{2}$ ვერსზეა ქალაქ გორიდამ. პირობათა შეტყობა შეიძლება საპიორების ქუჩაზე, № 23, სახლის-პატრონ ჯიმშეროვთან.

(3—2)

---


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 15-го Ноября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.